



დოკუმენტის დამტკიცების თარიღი და  
ბრძანების ნომერი: 21.12.2018 წელი, ბრძანება  
N118

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის  
მეთოდოლოგია

2018



## დოკუმენტის შინაარსი:

ზოგადი დებულებები .....	3
სტუდენტთა კონტინგენტის განმსაზღვრელი ფაქტორები.....	3
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორების მიხედვით სტუდენტთა კონტინგენტის გამოთვლა .....	4
უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა.....	12
სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შესაძლებლობა.....	13





## ზოგადი დებულებები

ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობებს უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამებისთვის.

ევროპის უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება ფაკულტეტების, კერძოდ კი ფაკულტეტის დეკანებისა და პროგრამის ხელმძღვანელების უშუალო ჩართულობით.

## სტუდენტთა კონტინგენტის განმსაზღვრელი ფაქტორები

საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა;
2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ბიბლიოთეკის, აუდიტორიების, კომპიუტერული კლასების რაოდენობა და გამტარიანობა);
3. პრაქტიკის ბაზებისა და ბაზებზე არსებული პედაგოგების (პრაქტიკის ხელმძღვანელების) რაოდენობა;
4. საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა;
5. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა (წინა წლების მონაცემებით პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა, მიმართულებისა და დარგის სპეციალისტებზე ბაზარზე არსებული მოთხოვნა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები);
6. უნივერსიტეტისთვის დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (უნივერსიტეტში მოქმედი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინება);
7. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და ზრდის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის



რაოდენობის გაზრდის და ა.შ.) შესაძლებლობები და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ნაბიჯები.

## სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრელი ფაქტორების მიხედვით სტუდენტთა კონტინგენტის გამოთვლა

საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში, ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, პროგრამაზე სტუდენტთა მაქსიმალური დაშვებული რაოდენობის გამოთვლა ხდება შემდეგნაირად:

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა განსაზღვრავს პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობას, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში (მათ შორის, სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის შესაძლებლობის განხილვის პროცესში) დაშვებული სტუდენტთა რაოდენობისთვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში (ამასთანავე, დამატებითი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოზიდვასთან დაკავშირებით სირთულეების არსებობის შემთხვევაში) გადაიხდება საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში დაშვებული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭირო რაოდენობასა და სტუდენტთა რაოდენობას შორის კავშირი რეგულირდება ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად, აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მინიმალური/მაქსიმალური დაშვებული რაოდენობები გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\text{აკადემიური პერსონალის მინიმალური დასაშვები რაოდენობა} = \frac{\left[ L \left( \frac{X_{st}}{75} \right) + P \left( \frac{X_{st}}{25} \right) \right] * 0.6}{H_{ac}}$$

სადაც,

$L$  – საგანმანათლებლო პროგრამის კენტ/ლუწ სემესტრებში სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში კვირაში ჩასატარებელი სალექციო საათების რაოდენობა<sup>1</sup>

$P$  – საგანმანათლებლო პროგრამის კენტ/ლუწ სემესტრებში სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში კვირაში ჩასატარებელი პრაქტიკული მეცადინეობების საათების რაოდენობა<sup>2</sup>

$X_{st}$  – საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული (აქტიური სტატუსის მქონე) სტუდენტების რაოდენობა

$H_{ac}$  – აკადემიური პერსონალისთვის კვირაში დაშვებული საათების მაქსიმალური საშუალო რაოდენობა<sup>3</sup>

**შენიშვნა:** ფორმულაში თანაფარდობები  $\left(\frac{X_{st}}{75}\right)$  და  $\left(\frac{X_{st}}{25}\right)$  მრგვალდება ყოველთვის მეტობით (მაგ. თუ თანაფარდობის შედეგად მიღებულია 1.1, შედეგი დამრგვალდება 2-მდე).

ზემოაღნიშნულ ფორმულაში გამოყენებული დაშვებები (პერსონალისთვის დაშვებული მაქსიმალური საათების რაოდენობა, ჯგუფში სტუდენტთა მაქსიმალური დაშვებული რაოდენობა და ა.შ.) იხ. ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში.

კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, აღნიშნული ფორმულის გამოყენებით, გარკვეული რაოდენობის სტუდენტთა დაშვების შედეგად გამოთვლილი აკადემიური და შესაბამისად მოწვეული პერსონალის საჭირო რაოდენობების ვერ დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაიხედება აღნიშნულ კონკრეტულ პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში დაშვებული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

მედიცინის ფაკულტეტის შემთხვევაში ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით გამოითვლება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მხოლოდ I, II და III სასწავლო წლებისთვის (საბაზისო სასწავლო კურსების გათვალისწინებით), ხოლო IV, V და VI სასწავლო წლებისთვის სტუდენტთა

<sup>1</sup> სპეციალობის სავალდებულო კურსების ფარგლებში ჩასატარებელი სალექციო საათების გამოთვლა ხდება კენტ და ლუწ სემესტრებში ცალ-ცალკე, ხოლო მიღებული რიცხვებიდან ვიღებთ უდიდესს.

<sup>2</sup> სპეციალობის სავალდებულო კურსების ფარგლებში ჩასატარებელი პრაქტიკული საათების გამოთვლა ხდება კენტ და ლუწ სემესტრებში ცალ-ცალკე, ხოლო მიღებული რიცხვებიდან ვიღებთ უდიდესს.



ზღვრული რაოდენობა გამოითვლება კლინიკური სასწავლო კურსებისთვის საჭირო მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ, მხედველობაში მიიღება სემესტრის განმავლობაში სასწავლო დღეების მთლიანი რაოდენობა, კლინიკური სასწავლო კურსებისთვის საჭირო დღეების საშუალო რაოდენობა, კლინიკურ სასწავლო კურსებზე ერთ ნაკადში სტუდენტების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა, პრაქტიკის ბაზებზე არსებული პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა.

*სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა პრაქტიკის ბაზებზე არსებული პერსონალის მიხედვით*

$$= \frac{D_s}{D_c} * St_c * L_c$$

სადაც,

*D<sub>s</sub> - სემესტრის განმავლობაში სასწავლო დღეების მთლიანი რაოდენობა*

*D<sub>c</sub> - კლინიკური სასწავლო კურსებისთვის საჭირო დღეების საშუალო რაოდენობა*

*St<sub>c</sub> - კლინიკურ სასწავლო კურსებზე ერთ ნაკადში სტუდენტების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა*

*L<sub>c</sub> - პრაქტიკის ბაზებზე არსებული პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა*

**შენიშვნა:** ფორმულაში თანაფარდობა  $\frac{D_s}{D_c}$  მრგვალდება ყოველთვის ნაკლებობით (მაგ. თუ თანაფარდობის შედეგად მიღებულია 1.7, შედეგი დამრგვალდება 1-მდე.)

სემესტრის განმავლობაში სასწავლო დღეების მთლიანი რაოდენობაა 108 დღე, რაც მიიღება სემესტრში კლინიკური სასწავლო კურსებისთვის გათვალისწინებული 18 კვირის 6 დღეზე (კვირაში პრაქტიკის ბაზებზე გასატარებელი დღეების შესაძლო რაოდენობა) გამრავლებით.

კლინიკური სასწავლო კურსებისთვის საჭირო დღეების საშუალო რაოდენობაა 14 დღე, რაც მიიღება 2, 3, 4, 5, 6 და 7 კრედიტიანი კლინიკური სასწავლო კურსებისთვის საჭირო დღეების საშუალო არითმეტიკული რაოდენობის დათვლით:

2 კრედიტიანი კლინიკური სასწავლო კურსისთვის საჭიროა 7 დღე

3 კრედიტიანი კლინიკური სასწავლო კურსისთვის - 10 დღე

4 კრედიტიანი კლინიკური სასწავლო კურსისთვის - 12 დღე



5 კრედიტიანი კლინიკური სასწავლო კურსისთვის - 15 დღე

6 კრედიტიანი კლინიკური სასწავლო კურსისთვის - 17 დღე

7 კრედიტიანი კლინიკური სასწავლო კურსისთვის - 20 დღე

კლინიკურ სასწავლო კურსებზე ერთ ნაკადში სტუდენტების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობაა 11 სტუდენტი.

მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა გამოითვლება საბაზისო და კლინიკური სასწავლო კურსების მოთხოვნების გათვალისწინებით I, II, III, IV, V და VI სასწავლო წლებისთვის დათვლილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობებს შორის უმცირესის 2-ზე გამრავლებით.

2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკის, აუდიტორიების, კომპიუტერული კლასების რაოდენობა და გამტარიანობა) გათვალისწინებით პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა:

აუდიტორიები - მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული აუდიტორიების რაოდენობა, ამასთანავე, ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიების ტევადობა (თითოეულ აუდიტორიაში სტუდენტთა ადგილების რაოდენობა) და სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის საათებზე დაშვებული სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა, აუდიტორიების დღიური და კვირეული საათობრივი დატვირთვა, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განსაზღვრული კვირეული საათების რაოდენობა.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა გამოითვლება სალექციო და პრაქტიკული შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\text{სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა სალექციო აუდიტორიების მიხედვით} = \frac{A_i * 60}{H_i} n * St_i$$

სადაც,

$A_i$  – ლექციებისთვის განკუთვნილი აუდიტორიების რაოდენობა;



$H_i$  – საგანმანათლებლო პროგრამების კენტი/ლუწი სემესტრების კვირეული სალექციო საათები<sup>4</sup>;

$n$  – პროგრამების სასწავლო წლების ჯამი;

$St_i$  – ლექციაზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა;

60 – თითოეული აუდიტორიის მაქსიმალური კვირეული საათობრივი დატვირთვა (60 აკადემიური საათი), 6 დღიანი სასწავლო კვირის და თითოეული ადიტორიის დღეში 10 საათით დატვირთვის პირობებში.

**შენიშვნა:** ფორმულაში თანაფარდობა  $\frac{A_i * 60}{H_i} n$  მრგვალდება ყოველთვის ნაკლებობით (მაგ. თუ თანაფარდობის შედეგად მიღებულია 1.7, შედეგი დამრგვალდება 1-მდე.)

*სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა პრაქტიკული მეცადინეობის აუდიტორიების მიხედვით*

$$= \frac{A_p * 60}{H_p} n * St_p$$

სადაც,

$A_p$  – პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიების რაოდენობა;

$H_p$  – საგანმანათლებლო პროგრამის კენტი/ლუწი სემესტრების კვირეული პრაქტიკული მეცადინეობის საათები<sup>5</sup>;

$St_p$  – პრაქტიკულ მეცადინეობაზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა.

ფორმულაში გამოყენებული დაშვებები (სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის საათებზე, ასევე, მედიცინის ფაკულტეტზე: საბაზისო და კლინიკური სასწავლო კურსების თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილზე ჯგუფში სტუდენტთა მაქსიმალური დაშვებული რაოდენობა განისაზღვრება ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით.

<sup>4</sup> კურიკულუმის მიხედვით ხდება კენტი და ლუწი სემესტრების კვირეული სალექციო საათების ცალ-ცალკე დაჯამება. ფორმულაში ვეყრდნობით მათგან უდიდესს.

<sup>5</sup> კურიკულუმის მიხედვით ხდება კენტი და ლუწი სემესტრების კვირეული სალექციო საათების ცალ-ცალკე დაჯამება. ფორმულაში ვეყრდნობით მათგან უდიდესს.



სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის აუდიტორიების მიხედვით ზემოაღნიშნული ფორმულების გამოყენებით დათვლილი შედეგებიდან, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მიზნით ვიყენებთ უმცირეს შედეგს.

კომპიუტერული კლასები - მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული კომპიუტერული კლასების რაოდენობა, ამასთანავე, ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიების ტევადობა (თითოეულ კომპიუტერულ კლასში სტუდენტთა ადგილების რაოდენობა) და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დაშვებული სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა, კომპიუტერული კლასების დღიური და კვირეული საათობრივი დატვირთვა, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის განსაზღვრული კვირეული საათების რაოდენობა.

$$\text{სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა კომპიუტერული კლასების მიხედვით} = \frac{C_1 * 60}{H_{lab}} n * St_{lab}$$

სადაც,

$C_1$  – ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი კომპიუტერული კლასების რაოდენობა;

$H_{lab}$  – საგანმანათლებლო პროგრამების კენტი/ლუწი სემესტრების კვირეული ლაბორატორიული საათები<sup>6</sup>;

$n$  – პროგრამების სასწავლო წლების ჯამი;

$St_{lab}$  – ლაბორატორიულ მეცადინეობაზე დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა.

ბიბლიოთეკა - მხედველობაში მიიღება ბიბლიოთეკის ტევადობა (ბიბლიოთეკაში სტუდენტთა ადგილების რაოდენობა), ბიბლიოთეკის სამუშაო საათების და სამუშაო დღეების რაოდენობა, სტუდენტის მიერ საშუალოდ ბიბლიოთეკაში გატარებული საათების რაოდენობა (აღნიშნული მონაცემის დათვლისას უნივერსიტეტი ეყრდნობა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს მათ მიერ ბიბლიოთეკაში გატარებული საათების საშუალო რაოდენობის შესახებ).

<sup>6</sup> კურიკულუმის მიხედვით ხდება კენტი და ლუწი სემესტრების კვირეული ლაბორატორიული საათების ცალკე დაჯამება. ფორმულაში ვეყრდნობით მათგან უდიდესს.



## სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

გამოკითხვის საფუძველზე ერთი სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკაში გატარებული საათების რაოდენობად დადგენილია კვირაში საშუალოდ 2 საათი.

ბიბლიოთეკა მუშაობს დღეში 10 საათი და კვირაში 6 დღე.

შესაბამისად, სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა ზემოაღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა საბიბლიოთეკო მონაცემების მიხედვით} = L_p * \frac{H_l}{H_{st}} * L_d$$

სადაც,

$L_p$  – ბიბლიოთეკაში სტუდენტთა ადგილების რაოდენობა;

$H_l$  – ბიბლიოთეკის სამუშაო საათების რაოდენობა (10 საათი)

$H_{st}$  – ბიბლიოთეკაში სტუდენტის მიერ გატარებული საათების საშუალო რაოდენობა (2 საათი)

$\frac{H_l}{H_{st}}$  – ბიბლიოთეკის სამუშაო საათებისა და სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკაში გატარებული საშუალო დროის გათვალისწინებით სტუდენტთა ნაკადის შესაძლო რაოდენობა (5 ნაკადი, 10 საათიანი სამუშაო დღისა და იმ პირობის გათვალისწინებით, რომ სტუდენტი ბიბლიოთეკაში ატარებს საშუალოდ 2 საათს);

$L_d$  – ბიბლიოთეკის სამუშაო დღეების რაოდენობა (6 დღე).

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება სტუდენტთა რაოდენობისა და წიგნადი ფონდის არსებული თანაფარდობა, რომელიც შეფასდა ზემოაღნიშნული შემფასებლების მიერ საკმარის თანაფარდობად, რათა პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას შენარჩუნდეს არსებული მისაღები თანაფარდობა.

3. საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის<sup>7</sup> რაოდენობის გათვალისწინებით პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა:

საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის შეფასება ხდება დაკვირვების საფუძველზე. დაკვირვების შედეგად იკვეთება თუ რამდენად სათანადოა

<sup>7</sup> პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციულ პერსონალში მოიაზრება პროგრამის სასწავლო პროცესის მენეჯერები.



პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა. აღნიშნული დაკვირვების საფუძველზე დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის სათანადო რაოდენობად დადგენილია 300 სტუდენტზე 1 დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის არსებობა. აღნიშნულის გათვალისწინებით განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა ან სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობა.

*სტუდენტთა დასაშვები რაოდენობა დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის მიხედვით*

$$= 100 * X_{ad}$$

სადაც,

100 – ერთ სტუდენტზე დადგენილი დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის სათანადო რაოდენობა;

$X_{ad}$  – საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის არსებული რაოდენობა.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება სტუდენტთა რაოდენობისა და პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის სათანადოდ მიღებული რაოდენობის თანაფარდობა, ამასთანავე, დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის არსებული რაოდენობა და დამატებითი პერსონალის საჭიროების განსაზღვრა, რათა პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას / რაოდენობის დამატებისას შენარჩუნდეს არსებული მისაღები თანაფარდობა.

4. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობის გათვალისწინებით პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა:

საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს პროგრამაზე წინა წლების მონაცემებით ჩარიცხვის მსურველ სტუდენტთა რაოდენობის და ასევე, უნივერსიტეტის ფარგლებში სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებას მომავალში პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში.

$$\text{საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა ხვედრითი წილი} = \frac{Y_p}{Y_t} * 100$$



სადაც,

$Y_t$  - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა მთლიანი რაოდენობა

$Y_p$  - კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება წინა წლების მონაცემების მიხედვით პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა ხვედრითი წილი და უნივერსიტეტისთვის დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა ხვედრითი წილის უნივერსიტეტისთვის დადგენილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაზე გამრავლებით განისაზღვრება თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

*სტუდენტთა რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნადობის*

$$\text{მიხედვით} = \left( \frac{Y_p}{Y_t} * 100 \right) * X_t$$

სადაც,

$X_t$  - უნივერსიტეტისთვის დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა

საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობის დადგენის მიზნით ასევე, შესაძლებელია მოხდეს პროგრამის მიმართულების / დარგის სპეციალისტებზე ბაზარზე არსებული მოთხოვნის, ამავე პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების, პროგრამის მოთხოვნადობის განმსაზღვრელი ბაზარზე მიმდინარე სხვა ტენდენციების შეფასება და სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინება.

## უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა

უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება წინამდებარე მეთოდოლოგიის შესაბამისად. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში მხედველობაში მიიღება და გამოითვლება ზემოთ აღნიშნული თითოეული ფაქტორი და სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრება თითოეულ შემთხვევაში გამოთვლის შედეგად მიღებულ სტუდენტთა მაქსიმალურ დაშვებულ რაოდენობებს შორის უმცირესი.



*სტუდენტთა მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა = სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორების მიხედვით დათვლილ შედეგებს შორის უმცირესი.*

## სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შესაძლებლობა

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და ზრდის შესაძლებლობები იმ შემთხვევაში, თუ იკვეთება საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნის ზრდა (წინა წლების მონაცემებით იკვეთება პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია, ასევე, ბაზარზე იკვეთება კონკრეტული დარგის სპეციალისტებზე გაზრდილი მოთხოვნა). ამ შემთხვევაში განიხილება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდის, პროგრამისთვის საჭირო საბიბლიოთეკო სივრცისა და ფონდის გამდიდრების, კომპიუტერული კლასების შექმნისა ან/და კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფის, ასევე, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი დამატებითი აუდიტორიების გამოყოფის, პრაქტიკის ბაზებთან თანამშრომლობის გაფართოვების შესაძლებლობები და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების და მათლიანად უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შესაძლებლობაც.

უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოთხოვნადობის ზრდის საფუძველზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოვებისა და პერსონალის რაოდენობის გაზრდის ან შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების შემთხვევაში, უნივერსიტეტმა შესაძლებელია დაგეგმოს უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიმართულებით მუშაობაც. უნივერსიტეტში სტუდენტთა შესაძლო მაქსიმალურ რაოდენობას აღნიშნულ შემთხვევაშიც უნივერსიტეტი განსაზღვრავს წინამდებარე მეთოდოლოგიის შესაბამისად.